წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი

2017

შინაარსი

I. შესავალი 3
II. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საპასპორტო მონაცემები 4
1.გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივ-კლიმატური პირობები 4
2. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები 4
4. ტრანსპორტი, გარემოს დაცვა და სოციალური ინფრასტრუქტურა 5
5. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა 6
მუნიციპალიტეტის სამრეწველო პოტენციალი, მეწარმეობა და ბიზნეს სექტორი 6
სოფლის მეურნეობა 6
6. ხელისუფლება და ბიუჯეტი 7
III. მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი 8
IV. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია 13
ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ხედვა 13
ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია 13
V. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები 14
ფინანსური მაჩვენებლები პრიორიტეტების მიხედვით 17
დანართი #1 - დემოგრაფია 18
დანართი #2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი (2015-2017 წწ.) 20

I. შესავალი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ ბოლო წლების განმავლობაში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე ხარჯების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით დაინერგა ახალი პროგრამები ჯანდაცვის, კულტურის, სპორტისა და სახელოვნებო სფეროებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსება და გაუმჯობესდა ბავშვთა აღზრდის პირობები.

2018-2021 წლებში მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას, კულტურის, სპორტისა და დასვენების სფეროების განვითარებას.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
- განათლება;
- გარემოს დაცვა და ტურიზმი.

II. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საპასპორტო მონაცემები

1.გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივ-კლიმატური პირობები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონის ცენტრალურ ნაწილში მდინარე ენგურის, მდინარე მაგანასა და მდინარე ჭანისწყლის ხეობებში. თბილისიდან 360კმ–ის დაშორებით, უახლოესი საპორტო ქალაქი ფოთი – მანძილი 70 კმ, უახლოესი აეროპორტი–კოპიტნარი – მანძილი 90კმ, უახლოესი რკინიგზის სადგური – ზუგდიდი - 22კმ. ტერიტორია – 646,6 კმ², მუნიციპალიტეტში მდებარეობს შპს „ენგურჰესი"-ს თაღოვანი კაშხალი – დაშორება ადმინისტრაციული ცენტრიდან 27კმ. რელიეფი მთაგორიანი. მოსალოდნელი რისკები: მეწყერი, ქარიშხალი, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა.

ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია. ბარში იცის რბილი ზამთარი და ხანგრძლივი ცხელი ზაფხული ნალექების მაქსიმუმი შემოდგომა-ზამთარში, მთისწინეთში – ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული, დაბალმთიან ზონაში – ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი გრილი ზაფხული, საშუალომთიან ზონაში იცის შედარებით ხანგრძლივი ცივი ზამთარი და გრილი მოკლე ზაფხული. ეგრისის ქედის მაღალმთიან ზონაში ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მკაცრი ჰავაა.

მუნიციპალიტეტში არსებულ მდინარეებს (ენგური, მაგანა, ჭანისწყალი) აქვთ მრავალი პატარა შენაკადები. კოკისპირული წვიმების დროს ხდება მათი ადიდება, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სანაპირო ადგილებში სავარგულებსა და ახლო–მახლო მცხოვრებ ოჯახებს, ასევე, აზიანებს ხიდ–ბოგირებსა და ნაპირსამაგრ ნაგებობებს. ყოველწლიურად სოფლის მხარდაჭერის პროგრამითა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხებით ხორციელდება ათეულობით ათასი ლარის ნაპირსამაგრი სამუშაოები. აღნიშნულის მიუხედავად, გადაუდებელი აუცილებლობა მოითხოვს სტიქიის რისკის ასაცილებლად ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობას მდ. ჭანისწყლის, ენგურის, მაგანას, აგრეთვე, სხვა მცირე მდინარეების სანაპიროებზე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი მეწყერსაშიში რისკიანობის ზონას განეკუთვნება. ეს პრობლემა განსაკუთრებით აწუხებთ მუჟავას, ჩქვალერის, ობუჯის, მედანის მოსახლეობას.

2. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

მუნიციპალიტეტში შედის 14 ადმინისტრაციული ერთეული (ორი ქალაქი და 48 სოფელი):

- წალენჯიხის ადმინისტრაციული ერთეული – მოსახლეობა 11564 კაცი;
- ჯვარის ადმინისტრაციული ერთეული–მოსახლეობა 9675 კაცი;
- ჩქვალერის ადმინისტრაციული ერთეული–მოსახლეობა 1108 კაცი;
- ლიის ადმინისტრაციული ერთეული–მოსახლეობა 4461 კაცი;
- საჩინოს ადმინისტრაციული ერთეული–მოსახლეობა 2433 კაცი;
- ფახულანის ადმინისტრაციული ერთეული–მოსახლეობა 3807 კაცი;
- მედანის ადმინისტრაციული ერთეული–მოსახლეობა 911 კაცი;
- ობუჯის ადმინისტრაციული ერთეული–მოსახლეობა 1588 კაცი;
- ნაკიფუ ადმინისტრაციული ერთეული–მოსახლეობა 1826 კაცი;
- ჭალეს ადმინისტრაციული ერთეული–მოსახლეობა 2824 კაცი;
- ჯგალის ადმინისტრაციული ერთეული–მოსახლეობა 2887 კაცი;

- მიქავას ადმინისტრაციული ერთეული–მოსახლეობა 1258 კაცი;
- ეწერის ადმინისტრაციული ერთეული–მოსახლეობა 1112 კაცი;
- მუჟავას ადმინისტრაციული ერთეული–მოსახლეობა 1063 კაცი.

3. დემოგრაფია ასაკობრივ ჭრილში და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 46517 ადამიანს შეადგენს, საიდანაც ადგილობრივი 37185 ადამიანია, ხოლო იძულებით გადაადგილებული პირი - 9332. მათ შორის, ასაკობრივ ჭრილში: 18 წლამდე – 8455; 18–დან 55 წლმდე – 26832, 55 წელს ზემოთ – 11230.

- სახელმწიფო პენსიის მიმღები - 8010
- სკოლის მოსწავლე - 3642
- სკოლამდელი ასაკის ბავშვი - 1228
- მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილი) - 157 ოჯახი
- დევნილის სტატუსის მქონე დახმარების მიმღები - 9332
- მრავალშვილიანი ოჯახი (4 და 4-ზე მეტი შვილი)-157ოჯახი
- სამამულო ომის მონაწილე -2
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი-151
- ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანი - 2

მოსახლეობის დასაქმების ძირითადი სექტორებია სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, საჯარო სამსახური. უმუშევრობის დონე 15–17%-ს შეადგენს, ხოლო საშუალო ხელფასი 370–400 ლარია.

4. ტრანსპორტი, გარემოს დაცვა და სოციალური ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ გადის საერთაშორისო მნიშვნელობის გზა, ხოლო შიდა სახელმწიფოებრივი ასფალტობეტონის საფარიანი გზების საერთო სიგრძე შეადგენს 64,5 კმ–ს, ადგილობრივი მნიშვნელობის და სასოფლო გზების საერთო სიგრძე 501 კმ-მდეა, რომლის 15%-მდე მონაკვეთი ასფალტირებულია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის 10 კმ-დე სარკინიგზო მიმოსვლის უმოქმედო ლიანდაგი. მუნიციპალიტეტში ხიდების, სახიდე გადასასვლელებისა და ხიდ-ბოგირების რაოდენობა შეადგენს 153 -ს, რომელთა საერთო სიგრძე 2,4 კმ-ია, რკინა –ბეტონის სანიაღვრე არხების სიგრძე 7,6 კმ-მდეა.

ინტერნეტმომსახურება მხოლოდ მუნიციპალიტეტის ცენტრშია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 45.0 ათას ჰა-ზე მეტი წიწვიანი და ფოთლოვანი ტყეებია, რომლებიც მთლიანად სახელმწიფო ტყის ფონდს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა მარმარილოს, დოლომიტის და მერგელური ქანების საბადოები, ასევე, მდინარეების კალაპოტებში სამშენებლო მასალების საკმაოდ დიდი რაოდენობაა, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია ათვისებული.

გარემოს დაცვა, ძირითადად, ნარჩენების გატანითა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობის სახით ხორციელდება.